1. **პროგრამის სახელწოდება:** ქრისტიანობის ისტორია

2. **პროგრამის ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი ქეთევან პავლიაშვილი

3. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ისტორიის მაგისტრი (MA in History)

4. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**
    - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი, ასევე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი.
    - პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ქრისტიანობის ისტორიის სწავლებასა და კვლევას უძველესი ტრადიცია გააჩნია. დარგის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი დაუდო IV საუკუნის ქრისტიანობის ისტორიის მამად აღიარებულმა ევსევი კესარიელმა. 17 საუკუნის მანძილზე, ქრისტიანობის კვლევა-სწავლება მიმდინარეობს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში და დღემდე ფართო საზოგადოების ინტერესის საგანია. დარგის განვითარება განსაკუთრებით უკავშირდება იმ ეთნოსებს, რომელთა ისტორია, კულტურა და ნაციონალური ღირებულებები ქრისტიანობაზე დაყრდნობით აღმოცენდა და განვითარდა. მსოფლიოს ეთნიკურ-კულტურულმა მრავალფეროვნებამ განსაზღვრა ქრისტიანობის სწავლება-კვლევების მეთოდოლოგიური სხვაობითობა, პრობლემატიკის სიჭრელე და თვისობრივი სამეცნიერო ტენდენციები.

ქრისტიანობის ისტორია მსოფლიოს უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებში წარმოდგენილია ერთის მხრივ, რელიგიათა კვლევების ზოგად პროგრამაში ცალკე მიმართულების სახით, მეორეს მხრივ კი, დამოუკიდებელ პროგრამად, მსგავსად აბრაამისტული რელიგიების პროგრამებისა, მაგ: „იუდაიზმი და ისტორია“, „ისლამი და ისტორია“, „იუდაიზმი და განათლება“, „ისლამი და განათლება“ და ა.შ.

თანამედროვე გლობალიზაციურმა პროცესებმა მოითხოვა რელიგიის საკითხისადმი განსაკუთრებული მიდგომა, რომელთა შორის გამოირჩევა ქრისტიანობა, როგორც მსოფლიოს წამყვანი, ძლიერი ქვეყნების ისტორიული სარწმუნოება. თანამედროვე ცივილურმა სამყარომ მშვიდობის პრობლემის გადაჭრაში აქტიურად ჩართო ქრისტიანობა, რამაც განაპირობა დარგის სიღრმისეული დააზრება, პროფესიონალი კადრის აღზრდა, სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება და ა.შ. დღეს, ინტელექტუალურ მსოფლიოში ქრისტიანობის ისტორიული გამოცდილების ათვისებისათვის, პროფესიონალი კადრის მომზადებისათვის ფართო მუშაობა მიმდინარეობს, რათა გადაიჭრას ისეთი სერიოზული პრობლემები, როგორიცაა: ეკლესიათა გაერთიანების საკითხი და თანამედროვე მშვიდობის პრობლემა; მისიონერული იმპერატივის პრობლემა; მსოფლიო ეკლესიებისა და კონფესიონალიზმის საკითხი; ეკუმენური მოძრაობის რაობა და მნიშვნელობა; პროზელიტიზმი და

რელიგიური თავისუფლება; ქრისტიანობის ურთიერთმიმართების პრობლემა ტრადიციულ და არატრადიციულ რელიგიებთან და სხვ.

ცივილიზაციათა გზასაყარზე მდებარე საქართველო ოდითგან ეთნიკურ-კომფესიური სიჭრელით გამოირჩევა და ქრისტიანობაც აქ მრავალმიმართულებითი სახით არის წარმოდგენილი: მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, სომხურ-გრიგორიანული. აღნიშნულმა განაპირობა ქრისტიანობის ისტორიის თავისებურება და სიღრმე, განვითარების თვისობრივი ევოლუციის ეტაპები. თანაცხოვრების მშვიდობიანი ფორმების შენარჩუნებისათვის საქართველოს სხვადასხვა ქრისტიანობის მიმდევარ ეთნოსებს ესაჭიროებოდათ არა თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური, არამედ ქრისტიანულ-კულტურული კავშირების გაღრმავება-გაფართოება. ამ ისტორიული ტრადიციების შესწავლასა და სწავლებას, თანამედროვე პროცესებში ჩართვა-დანერგვას ერთობ საშურ საქმედ მოვიაზრებთ.

„ცივი ომის“ დასრულებამ და პოსტსაბჭოთა ეპოქამ რელიგიური ხასიათის პრობლემებიც წამოჭრა, კერძოდ, კავკასიის ტრადიციული რელიგიების და მათ შორის ქრისტიანობის არსის არაჯანსაღმა გააზრებამ, მისი ფუნქციის დაკარგვამ სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში, გამოიწვია რელიგიური დაპირისპირებებიც. მიმდინარე გარემოებებმა აშკარად მოითხოვა ქრისტიანობის ისტორიის სიღრმისეული შესწავლა და სწავლება, რამეთუ ის თანამედროვე ეტაპზე აკადემიურთან ერთად პოლიტიკური ინტერესის საგანიც გახდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია, ხელისუფლების გადაწყვეტილებები და მისი შედეგები ბუნებრივია, ადეკვატური და წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება საქართველოს რელიგიური რეალობა, გააზრებული იქნება საქართველოს ისტორიული სარწმუნოების წარსული, მისი ადგილი თანამედროვე გლობალურ სამყაროში. ყოველივე ზემოაღნიშნულმა, საქართველოში გაამლიერა და გააფართოვა ქრისტიანობის ისტერიის პრობლემატური საკითხების მეცნიერული შესწავლა; გაიზარდა ქრისტიანობის ისტორიის ათვისებისადმი ინტერესი; შესწავლილ და გამოქვეყნებულ იქნა უამრავი მონოგრაფიული ნაშრომი და ა.შ.

ქრისტიანობის ისტორიის ჰუმანიტარულ დარგებთან კონტექსტში სწავლება-კვლევა უნდა შეესაბამებოდეს დასავლეთის უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, მაგრამ ამავდროულად, საჭიროა გამოიკვეთოს საქართველოსათვის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეძლებენ წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონალური და საერთაშორისო მასშტაბით. ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება ამავდროულად, სერიოზულ როლს შეასრულებს დემოკრატიულ პრინზიპებზე დამყარებული ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში; ამ უკანასკნელის ჩართვაში საერთაშორისო პროცესებში და მსოფლიოს დემოკრატიულ პრინციპებთან დაახლოება-გათავისებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ქრისტიანობისა და ეკლესიათა ისტორიის კვლევა-სწავლების ტრადიცია. დარგის რიგი დისციპლინა სავალდებულო და არჩევითია ჰუმანიტარული ფაკულტეტის საფეხურის სხვადასხვა სპეციალობაზე, მაგრამ მათი სწავლება-კვლევა დანაწევრებულია ცალკეულ მიმართულებებსა და სამეცნიერო დისციპლინებში: საქართველოს ისტორიის, მსოფლიო

ისტორიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიის და ხელოვნების ისტორიის მიმართულებებში. ქრისტიანული რელიგიის ინტერდისციპლინარული ბუნებიდან გამომდინარე, საშური და სასურველია მათი კოორდინაცია, ერთიანი სასწავლო-კვლევითი პროგრამის შეთავაზება სტუდენტებისათვის მაგისტრატურის საფეხურზე. აღნიშნული უზრუნველყოფს ქრისტიანობის სწავლება-კვლევის სხვადასხვა მიმართულების კოორდინირებას, მოხსნის პარალელიზმის შემთხვევებს, გაზრდის კვლევისა და სწავლების ეფექტურობასა და პროდუქტიულობას.

დარგის ევროპულ განათლებასთან მიახლოების მძლავრმა სურვილმა და ამ მიმართულებით მუშაობამ თავი იჩინა თსუ -ს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე განვითარებული პროცესებით, კერძოდ სტუდენტთა დაინტერესებაში ქრისტიანობის ისტორიით; დარგის თემატიკის წარმოჩენით სტუდენტთა საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებზე; ისტორიის მიმართულებასთან მოქმედი სტუდენტთა სამეცნიერო წრის - „ქრისტიანობის ისტორიის წრე“ - აქტიური მუშაობით და ა.შ. ზემოაღნიშნული, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის დარგის სამაგისტრო პროგრამის დაფუძნებისათვის და ამით ევროპული განათლების სტანდარტებთან დაახლოებისათვის.

ქრისტიანობა სხვა რელიგიების მსგავსად ინტერდისციპლინარული დარგია, რასაც განსაკუთრებულ სიღრმეს სძენს მისი მიმართება თავად ინტერდისციპლინარულ ისტორიის დარგთან. სამოქალაქო ისტორიასთან ქრისტიანობის სინთეზი იძლევა ორივე დარგში ობიექტური სამეცნიერო კვლევის სრულფასოვან და სრულყოფილ სამეცნიერო შედეგებს. სამოქალაქო ისტორიას მჭიდრო კავშირი აქვს ქრისტიანობის ისტორიასთან და ეს უკანასკნელი მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამავდროულად, ქრისტიანობის ისტორია სასწავლო-კვლევით ურთიერთობაშია ჰუმანიტარული მეცნიერებების ყველა დარგთან და ურთიერთსინთეზურ სამეცნიერო-კვლევებს მოითხოვს ობიექტური სამეცნიერო დებულებების შემუშავებისათვის. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა რელიგიებთან, სამართალმცოდნეობასთან, ფილოსოფიასთან, ფილოლოგიასთან, ხელოვნების ისტორიასთან, ღვთისმეტყველებასთან, ისტორიულ დისციპლინებთან: არქეოლოგიასთან, ეთნოლოგიასთან და სხვა დარგებთან სინთეზური კვლევით არის შესაძლებელი ქრისტიანობის ისტორიის სრულყოფილად ათვისება და სამეცნიერო კვლევის ჩატარება. თავის მხრივ, ზემოჩამოთვლილი დარგების მაკავშირებელი და ერთ-ერთი ძირითადი ღერძია ქრისტიანობის ისტორია. მათი სრულფასოვნად სწავლება და კვლევა ქრისტიანობის ისტორიის უშუალო დახმარებითა და მისი სიღრმისეული ცოდნით არის შესაძლებელი. ამრიგად, ქრისტიანობის ისტორიის ჰუმანიტარულ დარგებთან სინთეზური სწავლება-კვლევის მეთოდოლოგიურმა პრინციპმა განსაზღვრა მისი ინტერდისციპლინარული ხასიათიც.

მიზანი:

ქრისტიანობის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა დარგის სასწავლო პროგრამების კრებსით ვარიანტს, რომელიც გამიზნულია როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კვლევის შესწავლა-განხორციელებისათვის. პროგრამის მიზანია ბაკალავრიატის შემდგომი

დონის სპეციალისტის, ან მკვლევარის მომზადება ქრისტიანობის ისტორიაში. ამასთანავე, პროგრამა ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

სამაგისტრო პროგრამა იძლევა საშუალებას სტუდენტმა მიიღოს დარგის ირგვლივ ფართო და ღრმა ცოდნა, ან შეიცვალოს სპეციალობა, რაშიც მას დახმარებას უწევს პროგრამის ინტერდისციპლინარული ხასიათი. პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი ჰუმანიტარული მეცნიერებების ყველა დარგში: საეკლესიო სამართალში, სასულიერო ლიტერატურაში, ქრისტიანული ხელოვნების ისტორიაში, ქრისტიანულ არქეოლოგიაში, ქრისტიანულ წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, საეკლესიო დიპლომატიის ისტორიაში, ქრისტიანულ თეოლოგიაში და ა. შ, პროგრამა ამზადებს სპეციალისტს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის, უმაღლესი და საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობისათვის, ქრისტიანული ეკლესიის ექსპერტად ჩამოყალიბებისათვის.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს თეორიულ საკითხებს და ქრისტიანობის კონკრეტული კვლევის მეთოდებს და მაგალითებს (ცასე სტუდიეს). სტუდენტმა უნდა შეძლოს ემპირიული მასალის თავმოყრა, დაჯგუფება და ანალიზის წესის გააზრება. ასევე, გამოკვეთოს ქრისტიანობის ისტორიის კვლევის მიზანი; გააცნობიეროს მაგისტრატურაში ათვისებული ცოდნით მიღებული შედეგები.

მრავალმიმართულებიანი და ღრმა თეორიული მიდგომით, სტუდენტმა უნდა აითვისოს ქრისტიანობის ფენომენის ანალიზის მეთოდ-ხერხები, გაიაზროს დარგის ინტერდისციპლინარული ხასიათი. პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი საგნები, სამაგისტრო ნაშრომი, სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიღრმაოს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ზოგადი ცოდნა, გაიფართოვოს ის, დახვეწოს და განავითაროს სამეცნიერო პრობლემის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს და განიმტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევები, რომელიც მას დაეხმარება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის. სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს ქრისტიანობაში წამოჭრილი ამა, თუ იმ პრობლემის გადაჭრის უნარი; ჯგუფური მუშაობის, პროექტის შემუშავება - მართვის უნარი და ა.შ. სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს დარგში მიაღებინოს იმ დონის ცოდნა, რომ მან შეძლოს თავისი პროფესიისადმი პროფესიონალური მიდგომის წარმოჩენა; იდეების, პრობლემების, ინფორმაციის გაანალიზების გზაზე კომუნიკაცია სპეციალისტებისა და არასპეციალისტების წრეში.

სამაგისტრო პროგრამა ამზადებს ქრისტიანობის ისტორიის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, რომელსაც შესწევს უნარი მეცნიერული კვლევის ჩატარებისა და პრაქტიკული საქმის წარმოებისა აღნიშნულ დარგში. სტუდენტი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოს-პრაქტიკოსად ქრისტიანობის დარგში.

პროგრამა განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ცოდნის გაღრმავებით თეორიულ სფეროში, მისი გამოყენებით კონკრეტულ ქრისტიანობის კვლევებში და პრაქტიკულ მუშაობაში.

შედეგები:
სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნას. შეეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებით.

1. **ცოდნა და გაცნობიერება**: მაგისტრის ხარისხის მოპოვების შედეგად, მაგისტრს უნდა შეეძლოს საკვლევი პრობლემის გამოკვეთა და მისი დასაბუთება; კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრა; თეორიული და ემპირიული მასალის ურთიერთშეჯერება და მის საფუძველზე ქრისტიანობაში მიმდინარე პროცესების ანალიზი. ამასთან, მაგისტრის ხარისხის მქონე ღრმად უნდა ერკვეოდეს ქრისტიანობის მსოფლმხედველობის საფუძვლებში; ქრისტიანობის წარმოშობა-განვითარების ისტორიულ პროცესებში; ქრისტიანობის ძირითად სამეცნიერო კონცეფციებში; ქრისტიანობისა და აბრაამისტული რელიგიების შედარებითი კვლევის საფუძვლებში; ქრისტიანული ეკლესიების ურთიერთობათა შედარებითი კვლევის საფუძვლებში; ქრისტიანობის როლსა და დანიშნულებაზე ისტორიულ პროცესებში და ა.შ. აგრეთვე, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა მოდულებში.

2. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები:** მაგისტრის ხარისხის მქონეს უნარი უნდა შესწევდეს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის შედეგების წერითი და ზეპირი პრეზენტაციისა; გამომუშავებული დებულებების არგუმენტირებულად დასაბუთებისა და მსჯელობის მაღალი უნარი და კულტურა.

3. **ტრანსფერული უნარები:** მაგისტრატურის პროგრამა გავლილი პირი სრული ცოდნის გარდა ქრისტიანული სარწმუნოების ირგვლივ, უნდა ფლობდეს ქრისტიანობის ურთიერთმიმართების საფუძვლებს სხვა რელიგიებთან და ტოლერანტობისა და პატივისცემით დამოკიდებულებას ფლობდეს განსხვავებული კონფესიებისადმი, რაც მას შეამზადებს საზოგადოებაში მისი როლის განსაზღვრისადმი და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს შეუქმნის.

ა) კოგნიტური უნარები: მაგისტრატურა დამთავრებულს უნარი უნდა შესწევდეს დამოუკიდებელი იდეის ჩამოყალიბებისა, რისი საფუძველიც მის მიერ განვლილი პროგრამით მიღებული ცოდნა უნდა იყოს. პირს უნდა შეეძლოს განსხვავებული სამეცნიერო დებულებაში გარკვევა, საკუთარი ნააზრევის ჩამოყალიბება; ქრისტიანობის განსხვავებული სამეცნიერო კონცეფციების დამოუკიდებელი ანალიზი და მათი სინთეზური კვლევით სათანადო აზრის გამოტანის უნარი.

ბ)მეთოდოლოგიური უნარები: სტუდენტმა უნდა გამოიმუშაოს სასწავლო-ასათვისებელი მასალის დროში დაგეგმარება; იდეის ფორმირება და სათანადო პროექტის შედგენა და მისი ხელმძღვანელობა - რეალიზება; გამოიმუშაოს საკვლევი პრობლემის გადაჭრის უნარი.

გ) ტექნოლოგიური უნარები: მაგისტრატურა დამთავრებულს უნარი უნდა შესწევდეს სხვადასხვა სახით წყაროების მოპოვება (არქივში, ინტერნეტზე მუშაობის უნარი), მათი დამუშავება, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა სამეცნიერო ანალიზის საფუძველზე.

დ) ლინგვისტური უნარები: შესატყვისად სტუდენტის მიერ არჩეული ქრისტიანობის მიმართულებისა, ის უნდა ფლობდეს იმ უცხო ენას, რომელზეც წერილობითი

წყაროებისა და ისტორიოგრაფიული ხასიათის მასალათა უმრავლესობა მოიძიება. საამისოდ კი, სტუდენტს გარდა მშობლიური ენისა, უცხო ენაზეც უნდა შესწევდეს უნარი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია-პრეზენტაციისა; უცხოენოვანი მასალის მეცნიერული დამუშავებისა.

ე) სოციალური უნარები: სტუდენტს უნდა შეეძლოს ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა, სადაც ის გაუძღვება ქრისტიანული პრობლემატიკის საკითხთა კვლევა-სწავლებას. ამასთან, დაიცავს კოლეგების სამეცნიერო აზრისა და დებულებებისადმი პატივისცემის ეთიკურ ნორმებს და გამოავლენს კოლექტიური მუშაობის უნარს.

ვ) სისტემური უნარები: მაგისტრანტს უნდა ჰქონდეს გამომუშავებული უნარი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობისა; ასევე, დამოუკიდებლად საკვლევი პროექტის შემუშავებისა და მისი ხელმძღვანელობისა.

დასაქმების სფეროები - მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს:

- ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესებულ კვლევით დაწესებულებებში.
- ექსპერტის სტატუსით იგი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში.
- მედიაში ანლიოტიკოს-ექსპერტად რელიგიის ისტორიის და კონკრეტულად ქრისტიანობის ისტორიის მიმართულებით.

სწავლის გაგრძელების საშუალება:

გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, ქრისტიანობის ისტორიის მაგისტრის მქონეს შესაძლებლობა ეძლევა სწავლის გაგრძელებისა დოქტურანტურის საფეხურზე სხვადასხვა მიმართულებით: რელიგიათმცოდნეობითი, კულტურის მეცნიერებათა, ფილოლოგიის, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, რეგიონალური ისტორიის, ხელოვნების, ფილოსოფიის, სამართალმცოდნეობის და სხვ.